ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 8 5

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი

25 მაისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ზაურ ახვლედიანის სახით და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „მაკრო"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი თავმჯდომარის ირაკლი კიკვაძის მინდობილი პირის დიანა ჩახუნაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და **SMP220001475** (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 23 მაისის N 1720 განკარგულება) თანხმობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროგრამის "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა" - ქვეპროგრამის - "პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება" ფარგლებში ღონისძიების ორგანიზება, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი და/ან მომსახურება). (CPV-79952000)

1.2 გასაწევი მომსახურების აღწერილობა მოცემულია დანართი N1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს;

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2022 წლის 26 მაისს;

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია საქართველო, ქ. ბათუმი;

3.3. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

3.4. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მოწოდებული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.5. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიური შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილების უფროსი ნათია ბლაგიძე.

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა, დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

7.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ;

7.4. 7.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

7.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას;

ბ) თუ მიმწოდებელი არ ახდენს ნაკლისა და ხარვეზების აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

11.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

11.5. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დამდაგარი ზიანი;

11.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე;

11.7. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის არ განათლების კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. N4
ს/კ 245 427 667

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ „მაკრო"

საქართველო, ქალაქი ბათუმი
ჰ. აბაშიძის ქ. N 40
ს/კ 445536402
სს „თიბისი ბანკი"
მფო TBCBGE22
ა/ა GE83 TB74 0843 6080 1000 05
თავმჯდომარის მინდობილი პირი
დიანა ჩახუნაშვილი (პ. N61001004336)

მინისტრის მ/შ
ზაურ ახვლედიანი

Diana Chakhunashvili 61001004336

Digitally signed by Diana Chakhunashvili
Date: 2022.05.25 16:03:35

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში 10 ბენდისა და 1 DJ–ს მონაწილეობის უზრუნველყოფის ხარჯთაღრიცხვა

№	შემსრულებელი	თანხა
1	ბსუ ჯაზ ბენდი	1,875
2	თავისუფალი სივრცე	1,875
3	ჩერი ბენდი	1,875
4	SD&S	1,875
5	ლურჯი იალქანი	1,875
6	Melomaniakk	1,875
7	elrow	1,875
8	ჩემი ბენდი	1,875
9	See side	1,875
10	ავტოსტოპი	1,875
11	DJ ლაშა გურული (ლაშა კუკულაძე) საკუთარი აპარატურით	1,250
ჯამი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)		20,000

MACRO Studio Production

აიპი «მაკრო»

მისამართი: ბათუმი, ლუკა ასათიანის N71

Address: Luka Asatiani5 N71 str. Batumi

დიანა ჩახუნაშვილს (პირადი ნომრით 61001004336) ვაძლევ უფლებას :

დიანა ჩახუნაშვილი იყოს ააიპ მაკროს დირექტორის წარმომადგენელი და მინდობილი პირი, ხელი მოაწეროს სამინისტროსთან დადებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, მიიღოს და განკარგოს ფინანსური რესურსი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული ხელშეკრულების დადებასთან და შესრულებასთან.

აიპი „მაკრო"დირექტორი

ირაკლი კიკვაძე

თარიღი: 25.05.2022

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220609253
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.05.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მარინე სიხარულიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა #5
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	90343227158022

საქართველო,
ქალაქი ბათუმი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდახუთ მაისს მე, ნოტარიუს მარინე სიხარულიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩა #5, მომმართა ბატონმა ირაკლი კიკვაძემ (დაბ. 20.08.1976 წელს, პირადი N61001044574, მცხ. ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა N40).
მან წარმოადგინა წინამდებარე დოკუმენტი და მოითხოვა მასზე საკუთარი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.
მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოთაღნიშნულმა პირმა მომმართა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.
მე, ნოტარიუსი განვმარტავ, რომ დოკუმენტის შინაარსსა და ხელისმომწერი პირის უფლებაუნარიანობაზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს და წინამდებარე სანოტარო აქტით დასტურდება მხოლოდ მისი ხელმოწერის ნამდვილობა წარმოდგენილ დოკუმენტზე.
ხელმომწერმა პირმა დაადასტურა, რომ დოკუმენტი სრულად გამოხატავს მის მიერ გამოვლენილ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვამოწმებ.

დამოწმებულია ორი ხელმოწერა დოკუმენტის ორ ეგზემპლარზე, გადახდილია სანოტარო საზღაური 4,00 ლარი, თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N 507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2,00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 6,00 ლარი.

ნოტარიუსი _____ მ. სიხარულიძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18